

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ დამატებების შეტანის შესახებ“

**მუხლი 1.** საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 109-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3<sup>6</sup> ქვეპუნქტი:

„3<sup>6</sup>. გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის და რეგლამენტის 261<sup>2</sup>-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საბჭოს“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 261<sup>2</sup> მუხლი:

„261<sup>2</sup>.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს თავმჯდომარის ან შესაბამისად მოადგილის სამდივნო.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე